გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ულქერივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 — სა3ოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1891



ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 16 ოქტემბერს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

ქეთ. ანდრონიკოვის და სვ. სვიმონიძის მონაწილეობით

I

**თამარ-ბატონიშვილი**

ისტორ. დრა 5 მოქ. კ. მესხისა

რუსუდანის როლს შეასრულებს ქეთ. ანდრონიკოვისა, შალვას როლს სვიმონიძე

II

**ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი**

ვოდ. 1 მოქედ. დ. აწყურელისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი საფაროვისა, ავალოვისა, ანდრონიკოვისა, არლანისა, ჩერქეზიშვილისა, ბ-ნი აბაშიძე, სვიმონიძე, გუნია, გედევანოვი, კანდელაკი, შათიროვი, ხაინდრავა და სხვ,

მეორე მოქმედ. **ლეკურს** ითამაშებენ.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ.

ადგილების ფასი: ლოჟები 3 მან. მოყოლებული 10 მ. სკამები 60 კაპ. 3 მანეთამდე, გალერეა 20 კაპ. 40 კაპეიკამდე.

თეატრის ადმინისტრაცია უმორჩილესად სთხოვს თეატრის საზოგადოებას თავთავისის ადგილების დაჭერას და ანტრაქტებში კონტრამარკების გამორთმევას, ურომლისოდ თეატრში შესვლა აკრძალულია.

რეჟისორი ნიკ. ავალიშვილი. ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

---

სამკურნალო ს. ბ. თოფურიასი გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის და მუდმივის საწოლებით ქ. ქუთაისში.

ავადმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის ათის საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდე. შინაგანისა და საყმაწვილო სენით ავადმყოფებს არჩენს ს. ბ. თოფურია. ხირურგიულისა, ვენერიულისა და სიფილისის სენით ავადმყოფებს—ს. ბ. ვოინო. საბებიო და ქალის ავადმყოფობით ავადმყოფებს—ექიმი ქალი მ. ფ. კაღანი. თვალებით ავადმყოფებს მიიღებენ დილის თერთმეტის საათიდამ ნაშუადღევის ორ საათამდე.

სამკურნალოსთან იქმნება გამართული კაბინეთი ავადმყოფთა დასაზელად (მასაჟისათვის) ექიმების ხელ-მძღვანელობით და კაბინეთი შარდისა და ნახველის გამოსაკვლევად.

ფასი ექიმობისა თითოეულს ნახვაზედ ათი შაურია. კონსილიუმი (რჩევა), რომელიც შესდგება სამკურნალოს ყველა ექიმთაგან, ეღირება სამი მანეთი. შარდის თვისებათა გამოკვლევა—ერთი მანეთი; შარდის გამოკვლევა რაოდენობის მხრით—სამი მანეთი; მიკროსკოპით გამოძიება ნახველისა—ორი მანეთი. დაზელვისა (მასაჟის), აგრეთვე საავათმყოფოში დაწოლისა და მოვლის ფასი გარიგებით იქმნება. გადამდების ავადმყოფობით სნეულებს საავათმყოფოში დასაწოლად არ მიიღებენ.

გარედგან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ პირველ ნოემბრამდე ბოკერიას სახლში, ბულვრის პირდაპირ, და მუდმივი ქვეშაგებიან-საწოლიანი სამკურნალო იქმნება ბალახვანის ქუჩაზედ, სტეფანოვის სახლში, ხოლო პრველ ნოემბერიდან გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ სტეფანოვის სახლში და მუდმივ საწოლიანი სამკურნალო იქმნება თოფურიას საკუთარს სახლში, გაგარინის ქუჩის შესახვევში, სომხების ეკკლესიის მახლობლად.

სამკურნალოს დირექტორი—ს ბ. თოფურია

(10—3)


## ახალი ამბავი

*** კვირას სიონის ტაძარში წირვის შემდეგ წაკითხულ იქმნა უმაღლესი მანიფესტი მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრინა ალექსანდრა გიორგის ასულის გარდაცვლის შესახებ. მანიფესტის წაკითხვის შემდეგ პანაშვიდი გადაიხადეს მის უმაღლესობის სულის მოსახსენებლად და შემდეგ—პარაკლისი მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავარის დიმიტრი პავლეს ძის დაბადების გამო. პარაკლისსა და პანაშვიდზე დაესწრნენ: კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ ლეიტენანტი გრაფი ტატიშევი, გენერლობა, მრავალი დიდკაცობა და სხვანი.

*** გუშინდელს კრებაზე ჩვენის ქალაქის საბჭოს უნდა განეხილა ის, თუ როგორ იდღესაეწაულოს და რით აღნიშნოს მათის იმპერატორებითის უმაღლესობის ქორწინების 25 წლის დღე. როგორც ისმოდა, ქალაქის თავს თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკის განზრახვა ჰქონდა, წინადადება წარედგინა, რომ პატივსაცემლად ამ დღესასწაულისა ტფილისის ღარიბ მცხოვრებთ ეპატიოს 5,000. ვალი, რომელიც 1875 წელს აქეთ დაედო მათ სახლების გარდასახადისა.

*** გუშინ, 14 სექტემბერს, ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ალექსანდრე ალნიაშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა თ. კონსტანტინე ბებუთაშვილის მოკვლა ყარაიაზში. სასამართლომ შემდეგი საკითხები დაადგინა გადასაწყვეტად: 1) დამნაშავეა თუ არა ბრალდებული და ადრევე მოფიქრებულის განზრახვით მოუკლავს თუ არა თ. ბებუთაშვილი? 2) თუ დამნაშავე არ არის, აღელვების და აღშფოთების დროს უსროლია თოფი, თუ არა? 3) უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა თხოვნა მოკლულის დედის ვექილისა ზარალის გადახდის შესახებ. სასამართლომ გადასწყვიტა: რადგან გამორკვეულ და ცნობილ იქმნა, რომ თელავის მაზრის სოფ. შილდას მცხოვრებელს აზნაურს ალექსანდრე ალნიაშვილს, 17 წლისას, აღელვებისა და აღშფოთების დროს მოუკლავს თ. კონსტანტინე ბებუთაშვილი, ამიტომ სამის წლით საპატიმროში ყოფნა მისაჯოს და აგრეთვე სასამართლოში საქმის წარმოების ხარჯის გადახდა. თ. ორბელიანს-კი, დედის ვექილს, უარი ეთქვას და იმისი თხოვნა შეწყნარების ღირსად არ იქმნას ცნობილი. სასამართლომ დილით დაწყებული საქმე საღამოს ცხრა საათზედ დაათავა.

*** საიმპერატორო კარის სამინისტროს საუფლისწულო მამულების დეპარტამენტის უმთავრესი გამგე გენერალ-მაიორი თავ. ლ. დ—ძე ვიაზემსკი ამ თთვის 12 ტფილისიდამ კავკავს გაემზგავრა.

*** შაბათს, ამ თთვის 12, ტფილისის დოლის საზოგადოებას კრება ჰქონდა კავკასიის ოლქის შტაბში. კრებამ ერთხმად აირჩია კავკასიის მთავარ-მართებელის თანაშემწე გენერალ ლეიტენანტი გრაფი ტატიშჩევი ამ საზოგადოების საპატიო წევრად. კრებამ სამემრისო დოლისთვის 500 მანეთი გადასდო, აქედგან 350 მანეთი—სამის წლის ცხენების დოლის, მოსაწყობად და 150 მანეთიც იმისთვის, ვინც ჯირითში გაიმარჯვებს. ბეითალი ნ. ი—ძის მეშჩერსკის რეფერატის წაკითხვა ცხენების შესახებ ვერ მოასწრეს და შემდეგისთვის გადასდეს.

*** ტფილისის საიტენდანტო მმართველობა ამ ჟამად დიდ-ძალს ხორბალს ჰყიდულობს შესანახად ჯარისთვის, რადგან შუავულს რუსეთში სიმშილი ჩამოვარდა.

*** რუსეთიდამ სიმშილისა გამო დიდ-ძალი გლეხობა მოდის საქართველოში სამუშაოდ. გუშინ ტფილისში ჩამოვიდა პენზის გუბერნიიდამ კიდევ შვიდი გლეხის ოჯახობა. მაგრამ გლეხები აქ სამუშაოს ვერა პოულობენ და გლახაობენ. ზოგნიკი კავკასიის სხვა-და-სხვა ქალაქებში მიდიან სამუშაოდ. მაგალითად, შაბათს ერთმა დიდმა კაცმა თერთმეტი დამშეულის გლეხის ოჯახობა თავისის ხარჯით ბათუმში გაჰგზავნა სამუშაოდ.

*** მთავრობამ 3,305 მანათი გადასდო თელავ-სიღნაღის გზაზედ ორის ქვითკირის ხიდის გასაკეთებლად; ერთი ხიდი უნდა გააკეთონ სოფელ ვეჯინის მახლობლად და მეორეც სოფელს ჩუმლაყთან.

*** ამიერს კავკასიაში რამდენჯერმე მომხდარა, რომ სამხედრო ბეგრისაგან ერთხელ განთავისუფლებული კაცი და სათადარიგოთა შორის ჩარიცხული სხვა-და-სხვა კანონიერ საბუთისა გამო, ხელ მეორედ მიუწვევიათ და ჯარში წაუყვანიათ. ეხლა ამ საგნის თაობაზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ხელმეორედ მიწვევა მაშინ შეიძლება განთავისუფლებულის კაცისა, როცა უკანონოდ და მოტყუებით გაუნთავისუფლებია ვისმე თავი და ან თითონ დაწესებულება უკანონოდ მოქცეულა იმის განთავისუფლების დროს და ამაზედ საჩივარია შესული მთავრობასთაო.

*** ჩვენ მივიღეთ ლ. მა—შვილისაგან ბ-ნ გიორგი ქართველიშვილის ოჯახში შეკრებილი ფული 25 მ. ალ. ყაზბეგის სასარგებლოდ. გარდა ამისა, გიორგი ხუციშვილმაც ამავე საგანისთვის გადმოგვცა ერთი მანათი. ალ. ყაზბეგის სასარგებლოდ შეგროვილი ფული აქამდე გვქონდა 20 მან. ამიანად შესდგა 46 მანათი.

*** ოთხშაბათს, 16 ოქტომბერს, $7^1/_2$ საათზე დანიშნულია საპიორების ქუჩაზე, ისარლოვის სახლში, მორიგი კრება კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წევრთა. კრებაზე არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ. განსახილველია მორიგი საქმენი და მოსასმენი შემდეგი წერილები: Объ эпидемическомъ язвенномъ стоматитѣ, ხოლდოვსკისა და Случай брюшнаго тифа, осложненнаго тромбозомъ брюшной аорты и прободнымъ перитонитомъ

*** ჩვენ მოგვივიდა კავკასიის სამკურნალო საზოგადოებისაგან მის სამკურნალო კრებულის № 52 და განაჩენი № 6, 1891 წლის 6 სექტემბრის თარიღით, კრებულში მოთავსებულია შემდეგი სამკურნალო შინაარსის წერილები: Аномаліи расположенія толстыхъ кишекъ и вліяніе ихъ на отправленіе желудочно-кишечнаго канала, პ. ა. პოლიაკოვისა; Къ патологіи цвѣтоощущенія, დ. რეიხისა; Наблюденія надъ паразитомъ неправильныхъ болотныхъ лихорадокъ, ნ. სახაროვისა; эпидемія гриппа въ 15 гренадерскомъ Тифлисскомъ полку въ 1889 и 1890 годахъ, ი. ვ. კრეიცისა და Массажъ въ леченіи плевритовъ, პ. ა. პოლიაკოვისა. სამკურნალო საზოგადოების განაჩენში საყურადღებოა მოხსენება კომისიისა როზმაინსკის ნაწერის შესახებ: Къ вопросу о климатѣ Сухума და წერილები სახაროვისა.

*** ცხინვალი: ვითომ მოვესწრებით იმ დროს, რომ ჩვენს უბადრუკს ხიდს ეშველოს რამე! თუ ახალს არ გააკეთებენ, ეს ძველი მაინც იმდენად შეაკეთონ, რომ ზედ გავლა შეიძლებოდეს. სხვა არა იყოსრა საცოდაობაა საქონლისა. იმდღესაც ოთხს კამეჩს დაემტვრა ფეხები ამ ხიდზე გავლის დროს.

*** სოფელ მანავიდგან სწერენ გაზეთს „ნოვ. ობოზ-ეს“: „შვიდი წელიწადია, რაც ჩვენს სოფელში სკოლაა გამართული და დიდი სარგებლობაც მოაქვს მცხოვრებლებისათვის, რადგანაც მათ შვილებს შეუძლიანთ ამ სკოლაში ქართულ-რუსულის წერა-კითხვის შესწავლა მაიც. ამ დროს განმავლობაში რამდენიმე მასწავლებელი გამოეცვალა ჩვენს სასწავლებელს. აი ეხლაც, 1 სექტემბერს, ჩვენი მასწავლებელი სოფელს ყანდაურში გადაიყვანეს და მას უკან ჩვენი სკოლა თავ-მინებებულია. აღარ ვიცით, მოგვივა ვინმე მასწავლებელი თუ არა“-ო.

*** ს. პერეკისა (შორაპნის მაზრა) თუმცა ჩვენში ქურდების წინააღმდეგ ხევის თავები დააყენეს, მაგრამ არ იქნა და არა, ქურდ-ბაცაცობა მაინც არ მოისპო. ამას წინად დათა ღვალაძეს ქორწილის წინა დღით მოჰპარეს ყველაფერი: საქორწილო ტანისამოსი და ნივთები, ღირებული ოც-და-ოთხ თუმნად. ახლა კიდევ ერთსა და იმავე ღამეს გაუტეხეს დუქანი იოსებ მოდებაძეს და სამსონ წერეთელს. მოდებაძის დუქნიდგან წაიღოთ სხვა-და-სხვა ჩითეულობა, ღირებული ოც თუმნად, და წერეთლის დუქნიდგან-კი — ჩოხა-ახალოხი, ნაბადი და ოც-და-ოთხი მანეთი ფულად. სოფელი თავ-გამოდებულია და ერთ-ხმად ჰსურს ქურდების გაცემა, მაგრამ ადგილობრივმა ბოქაულმა უთხრა, რომ ნაობახტები გავსებულია გაცემულებითა და ქურდების გაცემის ყრილობა თქვენში ნაახალწლევამდე არ იქნებაო. ხალხი ძლიერ ჩააფიქრა ამ სიტყვებმა: „თუ ნაახალწლევამდე კიდევ ითარეშეს ჩვენში ქურდებმა, მგონია, ქონება-საცხოვრებელზედ ხელი აგვაღებინონო. სასურველია, რომ ჩქარა იქნებოდეს ყრილობა ქურდების გაცემის შესახებ და იმ თავზე ხელაღებულებს როგორმე ჩქარა მოგვაშორებდენ თავიდგან.

*** ს. ზარზარწმიდა (შორაპნის მაზრა). ეს ორი დღეა, რაც მზე გამოჩნდა და ხალხი ვენახებს შეესია მოსაკრებად. ყურძენი ნახევარიც არ დამწიფებულა, რის გამოც ძალიან მჟავე და ცოტა ღვინო დგება. დიდის წვიმიანობის დროს ვტეხდით სიმინდსა და ისე ვინახავდით სველად და ამიტომ გვეშინია, რომ არ დალპეს. მთები რამდენი ხანია დათოვლა. მეტის მეტმა ქარმა და სიცივეებმა ხომ ილაჯი წაიღო.

*** ს. სკინდორი (შორაპნის მაზრა) არც სკინდორია მოკლებული ქურდ-ბაცაცობას. ოცდა-ათს სექტემბერს გაუტეხეს დუქანი პავლია

ფხალაძეს. ქურდებს კარის ურდულთან წერაქვით გამოენგრიათ ქვითკირი, შეეყოთ ხელი და დუქნის კარი გაეღოთ. პატრონი ამ დროს მეორე ოთახში წოლილიყო და ვერაფერი გაეგო. ქურდები შესულიყვნენ შიგ, თოთხმეტი ხალიჩა წაეღოთ, ათი ფარდაგი, ერთი ფუთი ბაწარი, ორი სპილენძის თუნგი და ტასტი. ასე გასინჯეთ, ნახევარ გირვანქა ყველი ჰქონოდა მედუქნეს და ისიც-კი აღარ დაეტოვებინათ. როგორც ეტყობა, ქურდები ცხენებით უნდა ყოფილიყვნენ. დილით ნახეს მთელს დუქანზედ გარედგან სამ წყებად შემოხვეული ძაფი, შიგნით-კი ერთი სანთელი, რომელიც ხევისთავებს გადასცეს. ჯერაც არ იციან, ვინ იყვნენ ქურდები.

*** პეტერბურგი: გაგვგონებათ სახელი ბ-ნ პ. მ. კაკაბაძესი, რომელმაც შარშან გაჰმართა ქუთაისსა და ხონში კონცერტი იმ აზრით, რომ შეეგროვებინა ცოტაოდენი ფული და მით განეგრძო სამუსიკო სწავლა-განათლების მიღება. ბ-ნი კაკაბაძე ამ ჟამად აქ იმყოფება და მისი საქმე ეხლა კარგადაც დატრიალდა.

16 თიბათვეს საიმპერატორო თეატრების დირექტორის, ბ-ნ ვსევოლოჟსკის განკარგულებით, იქმნა შეკრებილი კომისსია, რომელსაც უნდა ღირსეულად აეწონა და დაეფასებინა ბ-ნ კაკაბაძის ხმის ღირსებანი. კომისიამ სცნა, რომ კაკაბაძის ხმა საკმაოდ ღონიერი და ძლიერია და მიჰმართა ბ-ნ ვსევოლოჟსკის, რომელმაც თავისის მხრით იშუამდგომლა მთავრობის წინაშე, რომ ბ-ნი კაკაბაძე სტიპენდიანტად დაენიშნათ. და აი ბ-ნს კაკაბაძეს 1 ოქტომბრიდამ დაენიშნა კიდეც 1200 მ. წელიწადში სტიპენდიად მუსიკის შესასწავლად.

სულითა და გულით ვისურვებთ, რომ ბ-ნ კაკაბაძის საქმე დაუბრკოლებლივ წასულიყოს, როგორც თავის თავისა ისე მისის ქვეყნის სასახელოდ და კარგად გამოეყენებინოს ის ძლიერი ხმა, ბარიტონის მზგავსი მაღალი ტენორი, „Tenor di farca“, რომელიც იმასა აქვს. ქართველებში პირველი მაგალითი იქნება, რომ ბ-ნი კაკაბაძე ასეთის, საზოგადოდ დიდად იშვიათის ხმით გამოვა სამუსიკო მოღვაწეობის ასპარეზზედ.

*** ტფილისის გუბერნატორის განკარგულებისა და ქალაქის საბჭოს გარდაწყვეტილებისამებრ მკურნალებმა ყვავილი აუცრეს პირველ დაწყებით საქალაქო სასწავლებლების მოსწავლეებს, მაგრამ როგორც გაზ. „ნ. ობ.“ იუწყება, ათში ერთის მეტს არ ასჩენია ყვავილი, ასე რომ დანარჩენებს ხელ-მეორედ სჭირდება აცრაო.

გაზეთი ამ საქმეში ამცრელებსა სდებს ბრალსა და დასძენს, კარგი იქნება მკურნალები გულიანად ეკიდებოდნენ თავიანთს საქმესაო.

## წერილი რედაქციის მიმართ

გიგზავნით პატივცემულის გიორგი ქართველიშვილის სახლობაში შეკრებილს ფულს 25 მანეთს ალ. ყაზბეგის სასარგებლოდ. აი სია შემომწირველთა: გიორგი ქართველიშვილი—5 მან., თამარ ქართველიშვილისა—4 მ., წ. წილოსანი—5 მან., მელანია წილოსანისა—5 მან., ნინა ქართველიშვილის ასული—3 მან., მარიამ ქართველიშვილის ასული—1 მან., თამრო ქართველიშვილის ასული—50 კაპ., გოგილა ქართველიშვილი—1 მან., ლ. მა—შვილი—50 კაპ. გთხოვთ, ეს ფული კუთვნილებისამებრ გადასცეთ.

ლ. მა—შვილი

## სასამართლოს მატიანე

### თავ. გ. ბებუთოვის მოკვლის საქმე

სასამართლოში თავმჯდომარეობს ფ. ა. ბიკოვი, წევრებად არიან ე. ვ. ჩემესოვი და ა. ვ. პადალკო. ამტყუნებს ბრალმდებელის ამხანაგი ა. ვ. ვოცკოი და მდივნად არის მდივნის თანამდებობის აღმასრულებელი ი. მ. ტერ-მმოვანოვი.

21 მაისს 1891 წლისას, საღამოზედ, ყარაიაზში ბერდანკას სისტემის თოფით აზ. ალექსანდრე პეტრეს ძემ ალნიაშვილმა სასიკვდილოდ დასჭრა სამაზრო გამგეობის მოხელე თავ. კონსტანტინე მიხეილის ძე ბებუთაშვილი. ორივენი სამაზრო გამგეობაში ემსახურებოდნენ და კალიის გასაწყვეტად იყვნენ გაგზავნილნი. სასამართლომ საქმე დილის 11 საათზედ დაიწყო. საქმის დაწყებისათანავე სბრალდებო ოქმი წაიკითხეს. აი მოკლედ ეს ოქმი:

„21 მაისს საღამოზედ თ. ბებუთაშვილი შევიდა თურმე თავისს ოთახში, ტანისამოსი გამოიცვალა, ისევ გამოვიდა და შედგა თავის სახლი ახლო მყოფს ურემთან, რომელზედაც ცარიელი ნავთის ბოჩკა იყო. ამ დროს ცხენით, მხარზედ თოფ-გადაგდებული, მივიდა ალექსანდრე ალნიაშვილი და უთხრა, მაზრის უფროსი გეძახისო. ბებუთაშვილმა არ დაუჯერა და არ გაჰყვა, თუმცა ხელმეორედაც განუმეორა ალნიაშვილმა თავისი თხოვნა. ამ დროს მოსამსახურემ მიაბრუნა ბებუთაშვილი, სად წაიღო ცარიელი ნავთის ბოჩკაო, ბებუთაშვილი რომ მიბრუნდა მოსამსახურესაკენ, ალნიაშვილმა თოფი დაუმიზნა და ზურგში მოარტყა. გაქცევასაც აპირობდა, მაგრამ ხალხი დაეხვია, დაიჭირეს და სცემეს. როცა ჰკითხა დაჭრილმა, რას მერჩოდიო, ალნიაშვილმა უპასუხა: „ისე მომიხდა, უცაბედად; ეხლაც არ ვიცი, რას გერჩოდიო“? თ. ბებუთაშვილმა ამ საქმის შემახებ განაცხადა, რომ ჯერ კიდევ შარშან მე და ბრალდებულის ბიძა ალნიაშვილი მაზრის უფროსმა გაგვგზავნა ყარაიაზში კალიის საქმის საწარმოებლად. აქმე ბევრი ბოროტმოქმედება აღმოვაჩინე, ილია ალნიაშვილის მიერ ჩადენილი, ამიტომ ყარაიაზიდგან უკაწვე დაიბარეს და თითქმის სამსახურიდგანაც უპირებდნენ გადაყენებას. ამის გამო თუ მტრობდა ალექსანდრე ალნიაშვილი, რადგან, როგორც ბოქაულის ტერ-გრიქუროვის გამოძიებიდგან სჩანს, ილია ალნიაშვილი ინახავდა ალექსანდრეს დედასაცა და თვით იმასაც. არცა ჰფარავდა თავისს მტრობას ბრალდებული. როგორც მოწმეთა ჩვენებიდგან სჩანს, მკვლელობის დღეს ალნიაშვილმა უთხრა თურმე ახალსოფლის მამასახლისს სოლომონ ცივილაშვილს, საგარეჯოს მამასახლისს იოსებ მეზვრიშვილსა და დიტანცის უფროსს ისმაილ-ბეგ ჯანბულათოვს, რომ ბებუთაშვილთან უნდა წავიდე და პასუხი უნდა მოვთხოვო, რას მერჩის, რაზედ დამაბეზღა მაზრის უფროსის წინაშე და რასა მდევნისო.

„გამოძიებაზედ ბრალდებულმა პირველში განაცხადა, რომ სულ არ მახსოვს, რა აზრით წავედი ბებუთაშვილთან და რა მოლაპარაკება გვქონდაო. მე ეხლა იმდენად აღელვებული ვარ, რომ პასუხის მოცემას ვერ ვახერხებ და ამიტომ გთხოვთ, რომ ჩვენების ჩამორთმევა ჯერ-ჯერობით გადასდეთო. მეორეჯერ, 25 მაისს, სთქვა, რომ სულ არ მახსოვს, როგორ ვესროლე თოფი, თუმცა ვცდილობ, მოვიგონო როგორმე, მაგრამ ვერ გამიხსენებიაო. დასასრულ, მესამედ, 29 თიბათვეს, ბრალდებულმა განაცხადა, რომ მართალია, მე მოვკალი, მაგრამ გონებაზედ არ ვიყავ ჯავრისაგან, რადგან იმ დღეს მე და ბებუთაშვილს ლაპარაკი მოგვივიდა. აღარც ის მახსოვს, რა მიზეზით მომიდა ბებუთაშვილმა შემაგინა, დედაჩემს უნამუსო დედაკაცი უწოდაო. ამ შეურაცხყოფამ ისე გამაგულისა, რომ თოფი ვესროლე. ეს ჩვენება ბრალდებულისა სარწმუნო და დასაჯერებელი არ არის, რადგან მოწმეებმა დაასაბუთეს, რომ იმ დღეს არც ჩხუბი მოსვლიათ ალნიაშვილსა და ბებუთაშვილს და არც წასვამი ყოფილა ალნიაშვილი. ამიტომ თელავის მაზრის სოფ. შილდას მცხოვრებელი აზნაური ალექსანდრე პეტრეს ძე ალნიაშვილი, 18 წლისა, სამართალში იქმნა მიცემული და ის ბრალი დაედო, რომ ჯავრით განზრახ დაუჭრია თავისი ამხანაგი თ. ბებუთაშვილი, რომელიც რამდენისამე ხნის შემდეგ გარდაიცვალა კიდეც.

მეთორმეტე საათზედ ბრალდებული შემოიყვანეს. ა. ალნიაშვილი თეთრს ჩოხაშია, სუფთად ჩაცმული; სულ ახალგაზდაა, ახლად ულვაშ-აკოკრებული და სახე ოდნავ შეწითლებული აქვს. სასამართლოში საკმაოდ ბევრი ხალხია, როგორც ქალები, აგრეთვე კაცები. სულ თხუთმეტ მოწმედაა გამოწვეული ამ საქმის გამო. მოკლულის მხრივ ვექილად არის თ. ნიკოლოზ ვახტანგის ძე ორბელიანი, ბრალდებულს ჰყავს ნაფიცი ვექილი გაბრიელ სტეფანეს ძე ტერ-სტეფანოვი.

ჯერ სასამართლოში მოწმენი დააფიცეს. ქართველებსა და სომხებს, რომელთაც ქართული ესმოდათ, ქართულად ჩამოართვეს ფიცი, ბოქ.

# ფელეტონი

## რკინის გზით

(მგზავრის შენიშვნებიდან)

ყოველს ზაფხულს ჩვენს ქვეყანაში ევროპის თითქმის ყოველ კუთხიდგან მოდიან სწავლულნი, თუ ცნობისმოყვარენი, შესასწავლად ჩვენის ქვეყნისა, მისის ბუნებისა და ხალხის სანახავად. სასიამოვნოდ რჩებათ ყოველის მხრივ ჩვენის ქვეყნის ნახვა და გაცნობა, გოლცებულნი და ღრმად ნასიამოვნები ბრუნდებიან თავისს სამშობლოში. ჩვენ-კი, ჩვენი ქართველები, თამამად ვიტყვი, ჩვენს საკუთარს სამშობლო სოფელსაც ვერ ვიცნობთ, არა თუ მთელს საქართველოსა. ეს დიდი ნაკლია ჩვენის ახალ-გაზდობისა. ნასწავლი ახალგაზდობა არ ენახვება, არ ეკარება სოფელსა, მთაბარსა, არ გადი-გამოდის, რომ ხალხმა ის გაიცნოს, დააფასოს და შეიყვაროს და იმან ხალხი. ამიტომაც არის, რომ ჩვენი ხალხი ესრედ წოდებულს „სერთუკიანებს“ უფრთხის, ერიდება, სიტყვას არ უჯერებს და მიატანს ხოლმე საშველოდ ისევ იმას, ვისაც მისთვის თოკი აქვს მომზადებული, თოკი, რომლითაც ნელ-ნელა არჩობს. მთელს ზაფხულს მომეტებული ნაწილი ჩვენის ახალგაზდობისა უსაქმოდა ჰზის და ბუზების თვლისა და ყლაპვის მეტს არას აკეთებს, ან ბახუსის ქება-დიდებასა და „მრავალ-ჟამიერი“ ღრიალშია; ერთხელ ჩვენგანი არ იზრუნებს, რომ შეჰკრიბოს ჩვენის ხალხის შემოქმედებ ნიჭის ნაჭირნახულევი: ლექსები, ზღაპრები, ანდაზები, ლოცვები და სხ. მართალია, გვყავს თითო-ოროლა კაცი, რომელნიც მტკიცედ ადგანან იმ კეთილს გზას, რომ შეჰკრიბონ ჩვენის ხალხის ჰკუა-გონების ნამოქმედარი, მაგრამ, როგორც ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, ისე ის ორიოდე კაცი ვერ შესძლებს იმოდენა განძის შეკრება-შეჭურჭებას, რამდენიც ჩვენს ხალხშია დაშთენილი და მისს გულში დამარხული. თითქმის ყოველს სოფელს, ყოველ ხეობას თავისი საკუთარი ხალხური პოეზია აქვს, თავისი საკუთარი ხალხური მელექსე მოეპოვება. სოფელს ვერა ჰნახავთ, რომ პოეტი არ ჰყავდეს, რომელიც ართობს კვირა-უქმით, თუ დღესასწაულებში, თვისის მაკვიატის სიტყვებით, ლექსებით, რომელშიაც იგი ჰხატავს ხოლმე, როგორც თავის დღის ვარამსა, ისე რომელსამე ბოროტებას, კაცსა ჰკიცხავს, ვისისამე სურათსა ჰხატავს და დასცინის. ნუ თუ ამან არ უნდა მიგვიზიდოს? იქნება სთქვას ვინმემ, რომ ნელ-ნელა გამოჩნდებიან ამ საქმის გულ შემატკივარნიო, დღეს ორი-სამი კაცია, ხვალ კიდევ ორი-სამი მოემატებაო. კაი მოგეცა, თუ დღეს-ხვალ ოროლ-სამ სამი გვემატა, მაგრამ ჩვენში კუს ნაბიჯით მიდის ყველაფერი და, თუ ასე ვიარეთ, როდის-ღა რას უნდა მოვეწივნეთ. ყველა ჩვენგანი უნდა სცილობდეს, რომ ასე თუ ისე გავაცნოთ ერთი კუთხე საქართველოსი მეორესა; თუ ლექსებსა და ზღაპრებს ყველა ვერ შეჰკრებს, სხვა მხარე რამ დაგვანახვოს ჩვენის ხალხის ცხოვრებისა. ზოგს ერთის ნიჭი აქვს, ზოგს მეორისა, ერთი მეორეს შეავსებს და წავა და ღმერთი გვიშველის.

მე ამ ჟამად, თუმცა არც ერთს ზემოდ-მოხსენებულისთანას არ შევხები, მაგრამ მკითხველს გადავცემ ნანახსა და გაგონილს, რომელიც, ჩემის აზრით, უსიამოვნოდ არ დარჩება.

რამდენნიმე გავემგზავრენით ფოთბათუმისაკენ. მე იმათ ხაშურში შევხვდი. ამ სადგურიდგან ახალის გზით მიდიხარ ხვრელისაკენ; თუმცა ძველი გზა, სურამზედ მიმავალი, თვალისათვის ბევრს მშვენიერს სურათს წარმოადგენდა, მაგრამ არც ეს ახალი გზაა ნაკლები; როდესაც ჩერდები ბელლეთში და გადაჰხედავ მიდამოს, სული გიტკბება, თითქოს მაღლდები, თითქოს დიდის სიამოვნებისაგან თავს ბრუ გესხმის. რა ბუნებაა! რა სანახაობაა!! გენანება, რომ ისე მალე სტოვებ ამ შვენიერს ადგილს, ამ სწორედ რომ სამოთხეს. სამოთხიდამ მალე ჯოჯოხეთისაკენ გაგაფრენს მატარებელი.

— ღმერთო, რა ადგილებია ამ ჩვენს ქვეყანაში; სადაც-კი მიიხედავს ადამიანი, ერთი მეორეზედ უკეთესს სურათს დაინახავ, თვალი არ გინდა მოაშორო რაღა! სთქვა ერთმა ჩემმა თანამგზავრმა.

— ერთი ჯოჯოხეთი გვაკლდა და ისიც გაგვიმართეს, გაიხუმრა ვიღაცამ; აი მალე შევალთ.

მართლაც, არ დაესრულებინა ეს სიტყვა, რომ მატარებელი ხვნეშითა და შხუილით შევარდა ბელლეთ-წიფის ხვრელში; დაჰკეტეს ფანჯრები, აანთეს სანთლები. გარედ უკუნი ბნელაა. გახვალ ხვრელს და თვალს სულ სხვა სურათი წარმოუდგება: უზარ-მაზარი ვიწრო ხეობა, მთები დევებივით წამოსკუპულან, შუბლშეკრულნი ჩამოიცქირებიან ძირს ხეობაში და გგონია, აგერ-აგერ წამოიქცევიან და მატლივით გაგვსრესენო. მაგრამ რა არ შეუძლიან კაცის ხელსა! ამ უზარ-მაზარის მდევებისათვის კაცის ხელს გვერდები მიუფლეთ-მოუფლეთია და ახალი გზა გაუვლიათ თითქმის ამ მთების წვერებზედ. ეს გზა აუქცევს სადგურს ბეჟათუბანს და სადგური იქნება მოლითში. გზა წარმოადგენს გაბითუმებულს კედელსა; რამდენგანმე ჰაერში დაკიდებული რკინის ხიდია; ორგან-სამგან ქვის ლამაზი ხიდიცაა; უკეთესს ლამაზს, კოხტა გზას ადამიანი ველარ წარმოიდგენს. ქვემოდამ რომ უცქერის ადამიანი, უკვირს, სად გაუვლიათ ეს გზა, რა ხელმა გააკეთა ეს ხიდებიო.

გზაზედ რამდენიმე სასიამოვნო თანამგზავრი შემხვდა. სხვათა შორის ვნახე ახალგაზდა სტუდენტი გრ. დ—ძე, ორივეს ერთი გზა გვქონდა.

— გაიგე, რომ ჩვენი საყვარელი და სახელოვანი პოეტი აკაკი ძალიან ავად არის პეტერბურგშიო, სთქვა მან.

— ასეთი ხმა ჩამოვიდა და უნდა მოგახსენოთ, ძალიან სამწუხარო ამბავიც არის. მაგრამ საშიშო-კი არაფერია-მეთქი, დავუმატე მე. ამ დროს ერთი ყმაწვილი კაცი წამოგვიყელყელდა, გაგვეცნო და დარდიანად გვკითხა; ეგ ვერაფერი ახალი ამბავია, ყმაწვილო.

— მართალია, სამწუხაროა, ყველა ქართველის გულს თითქო ძარღვი სწყდება, როცა ასეთის კაცის უქეიფობა ესმის, მაგრამ იმედიანად უნდა ვიყვნეთ, ღმერთი მოწყალეა... აკაკი, როგორც სჩანს იმის უკანასკნელის ლექსიდამ, რომელიც მივიღე, მართლა რომ ძალიან ავად უნდა იყოს, სთქვა ეს სტუდენტმა და მაჩვენა აკაკის ლექსი. ვაგონში რამდენმა მე სურვილი გამოაცხადა, რომ წაგვეკითხა აკაკის უკანასკნელი ლექსი: „გედი“. აი ის ლექსიც,

„სიკვდილის წინა, ამბობენ,
აჭიკჭიკდება გედიო
და ტკბილ ჰანგებით იმასხვის
მისი არსების ზედიო.

—

უცნაური გალობა
პირველ და უკანასკნელი:
აქ იხატება ცის სიამე,
იქვე ისახვის ქვესკნელი,

—

ორ აზრიანი, ორ-გვარი,
ერთის ხმით გამომეტყველი,
შემოქმედების ქებაა,
ცისა და ქვეყნის შემკვრელი,

—

სამქვეყნო ზარია...
სამქვეყნო—ზეასურია!
გედო!—შენატრი შენს ჭიკჭიკს,
შენ გვარის სიკვდილსა მეც ვსურვი“...

ულს ტერ-გრიქუროვს, სომეხს, რუსულად, რადგან ქართული არ ესმოდა, და სამსაც თათრულად. თავმჯდომარემ ჰკითხა ბრალდებულს ვინაობა და წლოვანება და ის, სცნობს იგი თუ არა თავს დამნაშავედ რომ განზრახ მოჰკლა. ბრალდებულმა უარი სთქვა, განზრახ არ მომიკლავსო. დაიწყეს მოწმეების გამოწვევა.

მოწ. იოსებ მათიაშვილი. როცა ალნიაშვილი მოვიდა, ლაპარაკი ბებუთაშვილთან დიდხანს რუსულად ჰქონდა. იმ ლაპარაკში გავარდა თოფი, მივედით და სოსიკო კოლოშვილმა მითხრა, შეაგინეს ერთმანეთისა და გალანძლესო. მაშინვე დავიჭირეთ ეგა და ბოქაულთან გავგზავნეთ. დაჭრილი ფურგუნში ჩავაწვინეთ და ბოქაულთანვე გავგზავნეთ ყარა-თაფაში. რიცხვი არ მახსოვს. რასაც ქართულად ჰლაპარაკობდნენ გავიგონე, რუსულად ნალაპარაკევი-კი არ გამიგონია. სხვათა შორის, ალნიაშვილმა უთხრა, რომ ჩემი კაცები იქ არიან და პური აქ რად მოდისო. იმან უპასუხა, აქ მოდის, მაგრამ აკი გიგზავნითო. ალნიაშვილი ეძახდა, მაზრის უფროსმა ჰბრძანა, ყარა-თაფაში უნდა მოვიყაროთ თავი მოხელეებმაო. იმან უარი უთხრა, ვნახე უფროსი, მაგრამ ჩემთვის არაფერი უთქვამსო. ალნიაშვილმა სთხოვა, ერთი პაპიროსი მომაწევინეო, და იმანაც შესთავაზა. სიმთვრალე ვერ შევატყე, ცხენზედ იჯდა. მოკვლის დროს-კი თოფის ხმა გავიგონეთ და მივირბინეთ. დაჭრილმა ბებუთაშვილმა ითხოვა, მოიყვანეთ ჩემთანაო. ალნიაშვილი რომ მივიყვანეთ, ბრალდებულმა უთხრა, მაპატიე, უცაბედად გამივარდა თოფიო.

წაიკითხეს იმისი ჩვენება, გამომძიებლის მიერ ჩამორთმეული, საიდგანაც აღმოჩნდა, რომ მათიაშვილს უთქვამს: მე ჩემის თვალით ვნახე, რომ ალნიაშვილმა თოფი ესროლა, შემთხვევით არ გავარდნილა, სტყუისო.

მოწ. ოჰანეზ ზ...ბოვი. ძალიან შორს ვიყავი, ცხენებს ვუვლიდი, მხოლოდ ხმა გავიგონე თოფისა. როცა მივედი ვნახე, რომ ალნიაშვილი დაიჭირეს. არ ვიცი-კი, ვინ ესროლა მოკლულს თოფი. იმათის ლაპარაკისაც არა გამიგონია-რა. ასე ნახევარს საათსა ლაპარაკობდნენ. მე რომ მივედი, დაჭერილი ჰყავდათ ბრალდებული.

წაიკითხეს გამომძიებლის მიერ ჩამორთმეული ჩვენება 6 თიბათვეს. გამომძიებლისათვის მოწმეს უთქვამს, რომ ოცის ნაბიჯის მანძილზედ ვიყავი, კარგად ვნახე, როგორც მოვიდა ალნიაშვილი, როგორც ელაპარაკა, დაუმიზნა თოფი და ესროლა. მე პირველი მივვარდი, მინდოდა, ბრალდებული დამეჭირა, მაგრამ მათრახი გადმომარტყაო. მოწმემ განაცხადა, ეგ არ მითქვამს გამომძიებლისათვისაო.

თორმეტს ათი წუთი აკლდა, რომ სასამართლომ საქმე თხუთმეტის წუთით შეაყენა.

პირველის ნახევარზედ მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევა განაგრძეს.

მოწ. ივანე თიბილაშვილი. ექვსს საათზედ მოვიდა ალექსანდრე ალნიაშვილი, მე ცოტა მოშორებით ვიყავი. ბებუთაშვილი და ალნიაშვილი ლაპარაკობდნენ ხან რუსულად, ხან ქართულად. ოთახში შევედი. ამ დროს თოფი გავარდა და მეც გამოვვარდი. თ. ბებუთაშვილმა მითხრა, დაიჭირეთ ალნიაშვილიო. სხვებიც მისცვივდნენ და დაიჭირეს. მე ბალიში გამოვუტანე დაჭრილს. ლაპარაკის დროს ერთმანეთს აგინებდნენ. როცა ალნიაშვილი მოვიდა, თოფი მხარზედ ჰქონდა გადაგდებული. ამ უბედურებამდე ორივეს ერთმანეთთან კარგი განწყობილება ჰქონდათ, მიდი-მოდიოდნენ ურთიერთან. ალნიაშვილი მთვრალი იყო.

წაიკითხეს ამ მოწმეს ჩვენება, გამომძიებლის მიერ ჩამორთმეული. ჩვენებიდგან სჩანს, რომ ალნიაშვილმა უთხრა, მაზრის უფროსთან წავიდეთო. ბებუთაშვილი არ გაჰყვა, პირიქით, ჩაიზედ შეიპატიჟა. ალნიაშვილი ჩაიზედ არ შეჰყვა, მაგრამ პაპიროსიკი გამოართვა. ამ დროს თოფიც გადმოიღო მხრიდგან და ხელში დაიჭირა. არც ჩხუბი მოსვლიათ და არც მთვრალი იყო ალნიაშვილი.

თავმჯდ. გამომძიებელს სხვა რად უთხრა და აქ სხვას რად ამბობს.

მოწმ. იქ ბებუთაშვილის ხათრით ვაჩვენე ისე, მაგრამ აქ, რაკი საქმე ფიცზე შევარდა, იძულებული ვარ, მართალი განვიცხადოთ.

მოწ. ნიკო ხოსიტაშვილი. დავინახე, რომ ქვეიდგან ცხენით მოდიოდა ალნიაშვილი. იმათის ლაპარაკისა არა გამიგია-რა. თოფი რომ გავარდა, ყველანი მივცვივდით. ბებუთაშვილი წაქცეული იყო, ალნიაშვილი-კი ცხენზედ აღარ იყო, მხოლოდ ტიროდა. თოფი აღარ ეჭირა ხელში. არც ის დამინახავს, თოფი გაუვარდა, თუ განზრახ ესროლა. ბრალდებული მე გამატანეს ბოქაულთან. გზაზედ ცოტა ფეხი ერეოდა, თითქო ნასვამი იყო. არ უცემნიათ ბრალდებულისთვის და არ ვიცი, რადა ტიროდა.

წაიკითხეს ამ მოწმეს ჩვენება, გამომძიებლის მიერ ჩამორთმეული 15 ივნისს: როცა ალნიაშვილი მოვიდა, ვნახე. ერთს საათს ლაპარაკობდნენ, არ ვიცი-კი, რის შესახებ ჰქონდათ ლაპარაკი. ლაპარაკის დროს ალნიაშვილმა თოფი გადმოიღო მხრიდგან და ხელში ეჭირა. ლაპარაკის დროს ბებუთაშვილი მიბრუნდა და ამ დროს ალნიაშვილმა თოფი ესროლა. ჩვენ ამ დროს საუზმესა ვჭამდით. დაჭრის შემდეგ ბებუთაშვილმა დაუძახა ალნიაშვილს და ჰკითხა, რას მერჩოდიო? ამან უპასუხა, უცაბედად გამივარდა თოფიო.

თავმჯდ. გამომძიებლებთან სხვა რად გითქვამს და აქ სხვას რად ამბობთ.

ხოსიტაშვილი. ბებუთაშვილმა მითხრა, მტრობით მომკლაო, და მეც ის განვიმეორე გამომძიებელთან. ეხლა-კი დავიფიცე და სხვის ნათქვამს როგორ განვიმეორებ? იმას როგორ ვიტყვი, რაც არ მინახავს?

მოწ. იოსებ ბარაბაშვილი. ბინაზედ მოვედით, პურსა ვჭამდით. ამ დროს ალნიაშვილიც მოვიდა, ისა და ბებუთაშვილი მოშორებით ლაპარაკობდნენ. თოფი გავარდა, ჩვენც მივცვივდით: სანამ ჩვენ მივედით, დაეჭირათ კიდეც და იმის ხელში თოფი არ მინახავს. მოსვლისას-კი თოფი მხარზედ ეკიდა. ბოქაულთან ჩვენ ჩავიყვანეთ და შევნიშნეთ, რომ ნასვამი იყო, ბარბაცობდა. ჩვენთან არა ულაპარაკნია-რა, მარტო ოხრავდა და „ვაიმე!“-ს იძახდა, თავის თავად ჰლოცნობდა.

წაიკითხეს ამ მოწმეს ჩვენება, 15 თიბათვეს ჩამორთმეული გამომძიებლის მიერ. აი ეს ჩვენება: ვნახე, როცა მოვიდა ალნიაშვილი და თითქმის ერთს საათს ელაპარაკებოდა ბებუთაშვილს. ვნახე, რომ, როცა ბებუთაშვილი მიბრუნდა მეურმისაკენ, ბრალდებულმა თოფი დაუმიზნა და ესროლა. ვერ შევატყე, მთვრალი იყო ბრალდებული, თუ არა.

თავმჯდ. გამომძიებელს ასე უთხარი?

ხოსიტაშვილი. არა, შენი ჭირიმე, აგრე არ მითქვამს.

(შემდეგი იქნება)

## დეპეშა

12 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** „Прав. Вѣст.“-ი იუწყება, სხვა-და-სხვა ღონის ძიების შემწეობით ანეულები კარგად დაითესა და არც ისე ნაკლებადაო, ხოლო ზოგიერთს გუბერნიაში ხაზინის მიერ მიცემულის სესხის წყალობით ნაოშებისთვისაც ამზადებენ სათესლეს. ადგილობრივად ღონებულია სხვა-და-ღონე, რომ გაჭირვებულთ რიგიანად მიეცეს შემწეობა და ამისათვის, სხვათა შორის, დააარსეს საპჭონი ხალხის გამოკვების საქმისა. მთავრობამ ურჩია აგრეთვე, რომ გამართულ იქმნას საეროზო საწყობები პურის იაფფასად გასასყიდად. შემოიღეს პურისა და საქონლის საკვების იაფ-ფასად გადატან-გადმოტანა რკინის გზებით, ნება მიეცა გლეხებს სახელმწიფო ტყეებში საქონლის უსასყიდლოდ ძოვებისა და წაქცეულის მეშის გამოტანისა. თუ რამდენი სესხი იქნება საჭირო ამ საგნისათვის, ეს ჯერ საგარაუდოა. აქნობამდე 18 გუბერნიისათვის ხაზინამ გადასდო 31,905,500 მანათი და საზოგადო სამუშაოთათვის კიდევ 1,125,000 მან., გარდა სხვა სარკინის-გზო და სატყეო საქმეებისა.

„Нов. Вр.“ იუწყება, ებრაელთა საქმის გამოსაკვლევად შემდგარმა კომისიამ თავისს პროექტში მოიხსენია, რომ ებრაელებს ყოველგან უნდა აეკრძალოთ სახელმწიფო იჯარადრობა და აგრეთვე არაყეულობისა და სხვა გვარ სასმელების წარმოებაც, თუ ამ გვარი ნაწარმოები საზღვარ გარედ წასაღებადა არ ენდომებათ და ეს გარემოება დასაბუთებული არ იქნება; ხოლო მოვახშეობა-კი სრულიად აეკრძალებათ.

ლექსის კითხვა გათავდა თუ არა, მატარებელიც გაჩერდა მარელისის სადგურზედ, რომელიც ყველა სხვა სადგურზედ უხეირო და ულაზათოა: ქაური მოსამსახურენიც, თითქოს ამ უხეირობას დაუჩაგრავსო, სხვა ნაირად იცქირებიან, სულ სხვა ნაირად გექცევიან: ამაყად, თითქოს უზრდელად; აქ არსად წყალია, არსად ჟანდარმი. ძალიან გვწყუროდა წყალი, მაგრამ ვერც წყალი ვიშოვნეთ და ვერც ბიჭი ვნახეთ ვინმე, რომ გვეკითხნა, სად იშოვება წყალიო. გზაზედ ბევრი რამე გვიამბეს ამ სადგურის ერთს ბატონზედ, რომელიც თურმე აწუხებს ბიჭებს, მოსამსახურეებს, მაგრამ ყურს არავინ უგდებს, თუმცა საჩივრებიც ბევრი მიართვეს იმის უფროსსაო, მაგრამ არ ვიცით, ყურს რატომ არ უგდებენო.

— შე დალოცვილო, სთქვა ვიღამაც, როგორ იქნება ამოდენა რკინის გზაზედ რომ ერთი მახინჯი არ მოჰყვეს, სულ კარგები რომ იყვნენ, ხომ ვერ გავერთობით, ზოგჯერ ემაგისთანა მახინჯები რომ შეგვხვდებიან, აი ეგრე ვილაპარაკებთ, გავერთობით, გავიცინებთ და გულს გადავაყოლებთ.

როგორც მოგეხსენებათ, სამტრედიის სადგურიდამ ერთი გზა ფოთისაკენ მიდის, მეორე ბათუმისკენ გაუხვევს. იმერეთის ყველა სადგურზედ მუდამ დიდი მოძრაობაა ხალხისა: ზოგს სავაჭროდ რამე გამოუტანია, ზოგი სასეირნოდ გამოსულა; ლამაზი ქალები ხომ თვალსა გტაცებენ, მაგრამ აფსუსია, რომ იმ ლამაზს ლოყებს იმოდენა ფერ-უმარილი უსვია და ამახინჯებს ბუნებურს სამშვენიერეს; აბა რა სილაზეა, როდესაც შელნის ტბა - თვალებს ქვეშ, შიგ წამწამებში, სქლად აქვს ამოსმული უმარილი, როდესაც სიცოცხლით სავსე სახე დაკონტლებულია ფერუმარილით. კოკობს ვარდს, ახლად გადაშლილს მზისაგან, რაღა ვისიმე წათხუპვნა ესაჭიროება! აფსუსია, რომ მაგ მშვენებას იმერეთის ქალები არ უფთხილდებიან და ფერ - უმარილს აჭკნობინებენ. რასაკვირველია, ეს იმიტომ მოსდით, რომ უფრო მოჰხიბლონ და მიიზიდონ მამაკაცთა გული და სული, მაგრამ სიყალბე არაფერში არ ვარგა.

მამწონს მე იმერეთის ხალხი; როცა გზად მივდივარ, თვალს ვერ ვაშორებ; გიზიდავს მამა-კაცთ ახოვანება, დიაცთა სიკეკლუცე, საზოგადოდ მათი სიცქვიტე, სიკისკასე, სიცოცხლით სავსე ბუნება, დაუდგრომელი მოძრაობა; ჩვენ, აღმოსავლეთის ქართველები, მხოლოდ ასე გარეგნობით ვიცნობთ ჩვენს თანამოძმეებს—იმერლებს, შინაგანის მისის ცხოვრებისა არა გაგვეგება-რა, მხოლოდ ჩვენის ცნობილის ბელეტრისტის გ. წერეთლის ნაწერებიდგან თუ ვიცით რამე. „მამიდა ასმათი“ წმინდა ბროლის სარკეა, რომელშიაც აღბეჭდილია ისეთის ხელოვნებით ცხოვრების ცოდნითა და სინამდვილით იმერელი კაცი თუ ქალი. მაგრამ ასეთი გაცნობა, გაცნობა მხოლოდ ბელეტრისტის შემწეობით, საკმარისი არ არის. თვით ხალხის პირადად გაცნობა და შესწავლა ძალიან საჭიროა; მაგრამ ჩვენი ახალგაზდობა, როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ, ამ გაცნობის გზას ერიდება, არ ვიცი, არ შეუძლიან, თუ სიზარმაცისაგან მოსდის.

მე ჩემის თანამგზავრებით სამტრედიიდამ ფოთისაკენ წავედი, საიდგანაც ბათუმში შავის ზღვით უნდა გავსულიყავით. სამტრედიამდე უნდა მოგახსენოთ, მშვიდობიანად მივედით, ე. ი. გზაზედ რკინის გზის მოსამსახურენი თავაზიანად გვექცეოდნენ, სამტრედიიდგან-კი სულ სხვა იყო; არ ვიცი, იმ დღეს თუ ვნახეთ ისეთი უწესოება, როდესაც ჩვენ მივემგზავრებოდით ფოთისაკენ; იქნება ჩვენ ვცდებოდეთ, მაგრამ, რაც ვნახეთ, თუ მუდამ ასეთი ალიაქოთია ვაგონებში, ღმერთმა მშვიდობა მისცეთ. დადგა დრო სადგურიდამ გასვლისა, მემაშინე უსტვენს, ეხვეწება, დროა გასვლისაო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, კონდუქტორი ვიღასაც ელაზღანდარავება. რის ვაი-ვაგლახით წავედით; რადგანაც პირველად მივდიოდით ფოთისაკენ მე და ჩემი თანამგზავრი, მთელი გზა ვაგონის აივანზედ ვიდექით და ვსტკბებოდით იმერეთის ბუნების სიმდიდრითა; სამტრედიიდგანაც ასე ვუცქეროდით არე-მარეს, თუმცა თანდათან ბნელდებოდა, მაგრამ მაინც თვალს ესიამოვნებოდა თვალ-უწვდენელის ტყეების ცქერა. ვნახოთ, ვიღაც ჩერქეზულად ჩაცმული კაცი დაგვეტაკა აივანზე და გვიკივლა:

— ვინა ხართ? რა ნება გაქვთ აქ დგომისა?

ჩვენ გვეუცხოვა ასეთი ყვირილი, რომელსაც ზედ თითის ქნევა და მუქარა დაპყოლა.

— კონდუქტორები არას გვეუბნებიან და თქვენ რად ნებულობთ წყრომასა, ვუთხარით. ამ დროს ორი რუსულად ჩაცმული კაციც გამოვიდა აივანზე; ჩერქეზულად მოკაზმულიც ამათ შეუერთდა, სინათლეზედ გავარჩიეთ, რომ ფეხზედ ვერა დგებიან და ერთანეთს აწყდებიან.

— შეიძლება ვიკითხოთ, ამ მატარებელს კონდუქტორი ჰყავს? ჩავეკითხენით ჩვენ რუსულად ახლად შემოსულებს:

— ქართულსაც რომ აღარ კადრულობენ, ჩვენ ქართველი ვართ, ქართულად გველაპარაკენით, სთქვა ერთმა ენა-მოკიდებითა.

—ძალიან სასიამოვნოა, ყველანი ქართველები ვყოფილვართ, მაგრამ რადგანაც ამ ყმაწვილმა, მივუთითეთ ჩოხიანზედ, რუსულად გვიჭყივლა, ჩვენც რუსულად ვლაპარაკობთ.

— როგორ გაბედეთ თქვენ და ჩემს პირველს ბრძანებასვე არ დაემორჩილეთ, დაიწყო ისევ თითის ქნევით ჩოხოსანმა, რომელიც ახლოს მოდგა და მხოლოდ მაშინ შევატყევით, რა ნაირ-ნაირის ღვინის სუნი ამოსთქშდა პირიდგან; თქვენ არ იცით, რომ მე კონდუქტორი ვარ, ჩინოვნიკი ვარ?

— კონდუქტორს კონდუქტორულად უნდა ეცვას, თქვენ-კი ვერ გატყობთ... უბრალო რაზედმე ასე გვაწუხებთ, რა საკადრისია ასეთი მოქცევა? ჩვენ გაგვიგონია და ვიცით, რომ „ზრდილნი არიან იმერნიო“, თქვენში-კი ვერა ვხედავთ.

— რას ელაპარაკები, ვუთხარ მე, ხომ ჰხედავ, ზრდილობაც და ჭკუაც ღვინოს წაურთმევია მეთქი.

აბა, აქ შეტლინკდა ჩოხოსანი, სულ ასკინკილა დაუარა.

— იცი მე ვინა ვარ? მე კეთილშობილი ვარ და მაგას როგორ მიბედავთ? „ივერიაშიაც“-კი მოხსენებულია ჩემი გვარი მეუნარგიასაგან; მე პირველი სამეგრელოს აზნაური ვარ.

— როცა იონამ (სახელის ხსენებაზედ მეგრელმა ყურები ცქვიტა) „ივერიაში“ მოიხსენა თქვენი გვარი, ის ხომ არ დაუწერია, რომ ვისაც შეხვდე, თავზედ ნაღვერდალი გადააყარეო. მაგისთანებს აშორდია თუ გირჩევს ხოლმე, თორემ სხვა არავინა.

ერთის სიტყვით, მეგრელმა აზნაურმა გაგვიჭირვა საქმე; ხვალ ფოთში თქვენს წელებს ქუჩაში ხანჯლის წვერზე ვათამაშებო, გაჩვენებთ თავს, რაცა ვარო; როგორც იყო გაიყვანეს ოთახში. თვით მეგრელმა იქვე ჩვენს გვერდზედ, მინამ ქალაქიდში ჩავიდოდით, ხვრინვა ამოუშვა.

(დასასრული იქნება)

13 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** გამოაცხადეს წესები რქოსან საქონლისა და ცხვრის ერთის ადგილიდგან მეორეს წასხმისა ევროპის რუსეთში. ამ საქონლის საზღვარ გარეთ ზიდვის ნება დართულ იქმნა კიდევ შემდეგის ადგილებიდგან: ქერჩიდგან, ნიკოლაევიდგან, ნოვოსელციდგან, გრანიციდგან და სოსნოვიცადგან.

„Бир. Вѣд.“ იუწყება, შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე წარსდგა დეპუტაცია ზეთის მექარხნეთა და შუამდგამლობს, რომ შეღავათი რამ დაწესდეს სელის ზეთის ნახადის საზღვარ გარეთ გატანაზე, რაიცა ეხლა აღკრძალულია. ეს თხოვნა განსახილველად ცალკე კომისიას გარდაეცა, რომელიც ფინანსთა სამინისტროსთანაა დაარსებული. ამავე კომისიამ უნდა განიხილოს ზოგიერთი სხვა საქმეც, ტამოჟნების მიერ აღძრული.

გაზეთები იუწყებიან, ავღანის ემირმა საგანგებო დესპანნი გაგზავნა რუსეთს სავაჭრო ხელშეკრულობის დასადებადაო,

**მოსკოვი.** სერბიის მთავრობის დელეგატმა გიორგი გენჩიჩმა, რომელიც აქ იყო მოსული, ორის სამრეწველო გამოფენის თაობაზე, ნება მიიღო, რომ ეს ორი გამოფენა ერთსა და იმავე დროს გამართოს მომავალს გაზაფხულზე—ერთი ბელგრადში რუსეთისა და მეორეც მოსკოვში—სერბიისა. ამ გამოფენის გამართვის საგანი ის იქნება, რომ ვაჭართ გააცნონ ნაწარმოები და ბუნებითი სიმდიდრე რუსეთისა და სერბიისა.

საბირჟო კომიტეტში დამშეულთა სასარგებლოდ ხელის მოწერით უკვე 200,000 მანათი შეგროვდა.

**ვენა.** წუხელ ვენგრიის დეპუტატმა გარანსკიმ თავისი სეკუნდანტები გაუგზავნა იუსტიციის მინისტრს სილაგის, რადგან თავი შეურაცხყოფილად ჩასთვალა მინისტრის მიერ პალატაში დაცინვით. სილაგიმაც უკვე აირჩია თავისი სეკუნდატნტები. ხალხი დიდის ყურადღებით ეპყრობა ამ ამბავს და კითხულობს, სილაგი ჯერ სამსახურს თავს დაანებებს და ისე გავა დუელში, თუ მინისტრის სახელწოდებით იბრძოლებს, მიუხედავად იმისა, რომ კანონით აღკრძალულია დუელიო. გარანსკის მიერ გამოწვევა და განსაკუთრებით ის, თუ რა იარაღით იბრძოლებენ, იმიტომ უფროა საყურადღებო ხალხისთვის, რომ სალაგიმ ძლიერ კარგად იცის ხმარება ხლმისა და გარანსკი-კი ოსტატია რევოლვერის სროლაში.

**ბერლინი.** საიმპერატორო სამხედრო უწყების მიერ შედგენილის ხარჯთაღრიცხვით 1892-1893 წ. ერთბაშად 34 მილიონს ფრანკსა თხოულობენ არტილერიის საჭიროებასათვის. არტელერიაში ზოგიერთი ცვლილება იქნება შემოღებული მის გასაძლიერებლად.

პეტერბურგის ბირჟა, 11 ოქტომბ.

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გარიგებისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7, | 63 | 7, | 68 | — | ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 153 | | 153½ | | — | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1, | 14 | — | ,, | — | ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 237¼ | | — | ,, | — | ,, |
| —მეორისა | 220 | | — | ,, | — | ,, |
| —მესამისა | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, | 210 | | — | ,, | — | ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — | ,, | — | ,, | — | ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლიისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილის კვადაზე გემები.

# განცხადებანი

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| პატიოსანი ადამიანი | „ | 5 |
| ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ. | „ | 5 |
| მეფე დავით აღმაშენებელი, ისტორიული დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. თ. სახოკიასი. | „ | 30 |
| სამნი ბრძენნი, ილ. ოკონთელისა. | „ | 20 |
| ძმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა | „ | 25 |
| იქავე ისყიდება-**თორნიკე ერისთავი**, ისტორიული პოემა აკაკისა | 1 | „ |

„მ“ ერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით ტომი I: ელგუჯა, ციკო და ელისო | 1 | 20 |
| ტომი II, მამის მკვლელი და განკიცხული. | 1 | 20 |
| ტომი III, მოძღვარი და ციცია | 1 | 20 |
| საუნჯე, მ. ჯანაშვილისა. | „ | 20 |
| ცვარი სურათებიანი, საყმაწვილო წიგნი. | „ | 30 |
| სიმრთელის კიდობანი (კარაბადინი) სულაქველიძისა. | 1 | „ |
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკონთელისა. | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელის | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი | 1 | „ |
| ბრძენი | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით. | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით. | „ | 50 |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова | 3 | „ |


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 ,, | 9 ,, 50,, | 5 ,, | 5 ,, 50,, |
| 10 ,, | 8 ,, 75,, | 4 ,, | 4 ,, 75,, |
| 9 ,, | 8 ,, —,, | 3 ,, | 3 ,, 50,, |
| 8 ,, | 7 ,, 25,, | 2 ,, | 2 ,, 75,, |
| 7 ,, | 6 ,, 50,, | 1 ,, | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და ხაღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


## ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| „თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძე) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი სამი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერის ყდით და მშვენიერს ქაღალდზე თითო ტომი ცალკე | 2 | 50 |
| სამივე ტომი ერთად | 7 | „ |
| სრული სამზარეულო ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა | 1 | 20 |
| იგივე ყდით | 1 | 40 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით და ბიოგრაფიით. | „ | 80 |
| იგივე მშვენიერის ყდით | 1 | 25 |
| „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. | „ | 15 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. აღნიაშვილის მიერ, | „ | 30 |
| იგივე, მშვენიერის ყდით | „ | 75 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა | „ | 25 |
| „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა | „ | 20 |
| „წყალობა“, პოემა მისივე | „ | 20 |
| „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით ნათარგმნი თ. სახოკიას-მიერ | „ | 30 |
| ვეფხვის ტყაოსანი, ოზურგეთში გამოცემული. | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით | „ | 80 |
| მეფე დავით აღმაშენებელი. ისტორ. დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანისა | „ | 40 |
| გიორგი ვაშინგტონი, თარგ. ნ. ბარნაბიშვილის-მიერ. | „ | 30 |
| მაჭმადიანთ ლექსები, გამოც. ზ. ჭიჭინაძისა | „ | 10 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა | „ | 30 |
| ნ. ნიკოლაძის ნაწერები წიგნი I | „ | 30 |
| სამის თავს გადასავალი, მოთხრ. ან. ფურცელაძისა. | „ | 25 |
| ქიტესა—მისივე | „ | 15 |
| სამი სხვერპლი, დ. კარიჭაშვილისა | „ | 30 |
| ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ. | „ | 5 |
| პატიოსანი ადამიანი. | „ | 5 |
| ჟანნა-დარკ | „ | 5 |
| ბერლინის გარემოცვა. | „ | 5 |
| „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე“ ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. | „ | 50 |
| „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. | „ | 50 |
| „შვილის აღზრდა“, თ. ხუსკივაძისა. | „ | 20 |
| ფიზიკური აღზრდა, გ. იოსელიანისა | „ | 20 |